დადგენილება #39/2024 „სსიპ – ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 ივნისის #22/2024 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დადგენილება № 39/2024
თარიღი: 18 დეკემბერი, 2024 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე და 63–ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის და კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 18 დეკემბრის №16 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 ივნისის #22/2024 დადგენილებაში და დამტკიცდეს სსიპ – ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი თანდართული სახით;
2.დადგენილება დაეგზავნოს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ყველა სტრუქტურულერთეულს;
3.დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.tsc.edu.ge
4.დადგენილება ძალაშია გამოცემისთანავე.
პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი